

I კვარტალი

2018 წელი

კონკურსები და პროგრამები

გამოცხადდა 7 კონკურსი



ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2018 წლის საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია: საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დაზოგბრები და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება და პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე.


[იხ. სრულად>>>](#)

ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსი



საგრანტო კონკურსის მიზანია: ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და ხარისხიანი სადოქტორო განათლების მიღებაში; გერმანელ კოლეგებთან ერთად სამეცნიერო ქსელის შექმნაში, საუკეთესო სამეცნიერო პრაქტიკის საერთაშორისო გაცვლის პროცესების გაუმჯობესების მიზნით თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებაში.

[იხ. სრულად>>>](#)



მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“

კონკურსის მიზანია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის სტიმულირება-სრულყოფა, სხვაობისა და ინოვაციის გაღვივება; იზოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

[იხ. სრულად>>>](#)



საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის 2018 წლის საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მაღალი რანგის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმებისა და სიმპოზიუმების ჩატარება თანამედროვე საზოგადოების ჩართულობით, საქართველოს შემსწავლელი კვლევების პოპულარიზაცია და საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე წარდგენა.

[იხ. სრულად>>>](#)



საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის 2018 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალების, ეთნოგრაფიული მონაცემების მოძიებას, აღრიცხვასა და სისტემატიზაციას, მათ მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლას, ქართული ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაციას და ახალგაზრდა კადრების მოზიდვას ამ სამეცნიერო დარგში.

[იხ. სრულად>>>](#)

კონკურსები და პროგრამები



„ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობის“ 2018 წლის საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია საქართველოს მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ში საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ჩართულობის მხარდაჭერა.

[იხ. სრულად>>>](#)



სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი - „მეცნიერება იწყება სკოლიდან - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“

კონკურსის - „მეცნიერება იწყება სკოლიდან - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლება, განათლებისა და კვლევების დაახლოება, კვლევების ისტევერება სხვათა პოტენციალში; კვლევების პოპულარიზაციის გზით სკოლის მოსწავლეთა დაინტერესება მეცნიერებით; მოსწავლეთა შორის კვლევითი უნარების გამოქვეყნების ხელშეწყობა.

[იხ. სრულად>>>](#)

გამოვლინდა 3 კონკურსის შედეგი



2017 წლის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (CNRS PICS) შედეგები

[იხ. სრულად>>>](#)



მაგისტრანტთა სასწავლო კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსის შედეგები

[იხ. სრულად>>>](#)



2017 წლის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგები

[იხ. სრულად>>>](#)

საერთაშორისო თანამშრომლობა



ხელი მოეწერა 7 ევროპულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შეთანხმებას

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით, მეგობრული საერთაშორისო თანამშრომლობის ვანკითარებისა და გრძელვადიანი, ურთიერთსასარგებლო კავშირის დამყარების მიზნით, მომზადდა შეთანხმება შვიდ ევროპულ უნივერსიტეტთან საქართველოს შემსწავლელი კვლევითი პროგრამის დახურვასთან დაკავშირებით.

[იხ. სრულად>>>](#)



თურქეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საბჭოსთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

2018 წლის 24-28 იანვარს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი მ. მიქაბერიძე და დირექტორის მოადგილე ნ. გაჩეჩილაძე თურქეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საბჭოს (TUBITAK) პრეზიდენტის მინვევით ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. ანკარაში.

[იხ. სრულად>>>](#)



ევროკომისიის პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტის Policy Support Facility-ის ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტების მეორე ვიზიტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ევროკომისიისადმი მიმართვის საფუძველზე და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, ევროკომისიის სპეციალური მხარდამჭერი ინსტრუმენტის, Policy Support Facility-ის ფარგლებში შედგა საერთაშორისო ექსპერტების, უკვე, მეორე ვიზიტი საქართველოში.



ოქსფორდში საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამის კონფერენცია

ოქსფორდში, წმ. ენტონის კოლეჯის აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის კვლევების ცენტრის (REES), ქვეყანათშორის ინტერდისციპლინური სკოლის (SIAS) და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) ერთობლივი პროგრამის - Georgian Studies Research Programme ფარგლებში უკვე მეორედ ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც ოქსფორდისა და გაერთიანებული სამეფოს სხვა კვლევითი უნივერსიტეტების ცნობილი მეცნიერები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

[იხ. სრულად>>>](#)



სამუშაო შეხვედრა ქართული დიასპორის მონაწილეობით

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარხო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის დაფინანსებული პროექტის EaP PLUS ფარგლებში, 17 თებერვალს, სასტუმროში Courtyard by Marriott გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება „Georgian Diaspora Workshop“. სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო საზოგადოებრივ მოღვაწე, წარმატებულ ქართველ და საქართველოში მცხოვრებ მეცნიერებს, სტუდენტებსა და ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის თემატური საკითხების, „ჰორიზონტი 2020“-ში მონაწილეობის, დაგეგმილი კონკურსებისა და სხვა საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვა და ხელშეწყობა.



შეხვედრა Clarivate Analytics-ის წარმომადგენლებთან

23 მარტს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდში, კომპანია Clarivate Analytics-ის წარმომადგენელმა, ვალენტინ ბოგოროვმა, ჩაატარა სემინარი Clarivate Analytics-ის სამეცნიერო ბაზის - Web of Science-ის გამოყენების შესახებ.

[იხ. სრულად>>>](#)


სამუშაო ვიზიტი კონფერენციაზე - „კვლევითი ინფრასტრუქტურა 2020-ის შემდგომ - მდგრადი და ეფექტური ეკოსისტემა მეცნიერებისა და საზოგადოებისათვის“



2018 წლის 21-24 მარტს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენელი ე. კლდიაშვილი ბულგარეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოწვევით იმყოფებოდა ქ. სოფიიში კონფერენციაზე „კვლევითი ინფრასტრუქტურა 2020-ის შემდგომ - მდგრადი და ეფექტური ეკოსისტემა მეცნიერებისა და საზოგადოებისათვის“.

ვიზიტის მიზანი იყო კვლევითი ინფრასტრუქტურის პროექტებისა და ინიციატივების და მათი შედეგების გაცნობა; ასევე, კვლევისა და ინოვაციის მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და გამოცდილების, მოდელის გაზიარება.

ევროკომისიის კვლევებისა და ინოვაციების პროგრამული კომიტეტის სამუშაო შეხვედრა ბრიუსელში



2018 წლის თებერვალში ევროკომისიის კვლევებისა და ინოვაციების პროგრამული კომიტეტის სტრატეგიული კონფერენციების საკითხებისა და კომიტეტის მოსამზადებელი სამუშაოების განხილვაზე მიხვეული იყო ფონდის თანამშრომელი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს, როგორც პროგრამის ასოცირებული ქვეყნის, წარმომადგენელი პროგრამულ კომიტეტში მონაწილეობს ხმის უფლების გარეშე, ხოლო კომიტეტის მოსამზადებელ შეხვედრაში მონაწილეობს აქტიურად. ფონდის წარმომადგენელი ქეთევან გაბიჭაძე დღესწარა შედეგების სამეფოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეხვედრას, რომელზეც განხილული იყო „მეცნიერება საზოგადოებასთან ერთად და საზოგადოებისათვის“ (SWAFS), „პასუხისმგებლობის მქონე კვლევები და ინოვაციები“ (RRI) და „ღია მეცნიერების“ (Open science)-ის საკითხები FP9-ის მიზნებისათვის. შეხვედრაში მონაწილეობდა 23 ქვეყნის დელეგატი.



აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული ქვეყნების პროგრამული კომიტეტების წევრების სემინარი

2018 წლის 20-21 მარტს, კიევში (უკრაინა) გაიმართა აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული ქვეყნების პროგრამული კომიტეტების წევრების სემინარი. ღონისძიებაზე მონაწილე იყო ფონდის გენერალური დირექტორი, მანანა(მაკო) მიქაბერიძე, რომელიც იყო პირველი სესიის მოღვაწეობის და ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ სამუშაო ჯგუფს. სემინარს უმასპინძლა უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. სემინარის მიზანი იყო პროგრამის თვარგლებში ასოცირებულ და არა-ასოცირებულ ქვეყნებში არსებული სიტუაციის შეფასება, სამომავლო ჩარჩო პროგრამაზე შეთანხმება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება „ჰორიზონტი 2020“-ში წარმატებული მონაწილეობის მისაღწევად.

სემინარი უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრში

2018 წლის 14-15 მარტს, ქ. კიევში უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის (STCU) მიერ ორგანიზებულ ორმაგი გამოყენების მასალების და ტექნოლოგიების საექსპორტო კონგრესლის სემინარზე მონაწილე იქნა შოთა რუსთაველის ფონდის წარმომადგენელი.

შეხვედრაზე განხილული იქნა საექსპორტო კონგრესლის ძირითადი ასპექტები, CBRN (ქიმიური, ბიოლოგიური, რადიო და ბირთვული) მასალების ძირითადი მახასიათებლები, ევროკავშირის საბაზისო პოლიტიკა ორმაგი გამოყენების მასალებსა და ტექნოლოგიებზე, ასევე, არაპროლიფერაციული საკითხებზე. CBRN იარაღის ტექნოლოგიური ევოლუციის, საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდოვის, უკრაინის საექსპორტო კონგრესლის სისტემები და პრევენციის მექანიზმები; ევროპის მეცნიერების ქსელისა სამეცნიერო ეთიკის საკითხები მეცნიერების განვითარების ჭრილში.

ფონდის აქტივობები



ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სხდომა

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში, 15 თებერვალს, საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს რიგით VI სხდომა გაიმართა. სამეთვალყურეო საბჭო არის ფონდის კოლევიალური ორგანო, საკოორდინაციო საბჭო, რომლის წევრები არიან ნამდევანი ქართველი და უცხოელი მეცნიერები და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შეხვედრა მეცნიერებთან

16 მარტს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შეხვედრა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2017 წლის კონკურსების გამარჯვებულებთან.



პროფ. როჯერ ქაშმორის შეხვედრა მეცნიერებთან

14 თებერვალს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ევროპის ბირთვული კვლევების ორგანიზაციის (CERN) ყოფილმა თავმჯდომარემ, როჯერ ქაშმორმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გამართა საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ხანილთან.



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და უნივერსიტეტებში გაიმართა მიმდინარე კონკურსებისა და პროგრამების 13 საკონსულტაციო შეხვედრა.

ფონდის აქტივობები




შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გაიმართა გრანტების მართვის ახალი სისტემის (GMUS) ოთხი სემინარი მეცნიერებისა და აკადემიური ინსტიტუციებისთვის.


ფონდის ბიუჯეტის შესრულება

ინფორმაცია პირველი კვარტლის ხარჯის შესახებ

პროგრამული ხარჯები



პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულება



პირველი კვარტლის ბიუჯეტის გეგმის შესრულება - 97 %

გამოქვეყნდა კონკურსების ანონსები



2018 წლის "დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი"

[იხ. სრულად>>>](#)



„მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების“ 2018 წლის საგრანტო კონკურსი

[იხ. სრულად>>>](#)



ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი

[იხ. სრულად>>>](#)